



გორის მუნიციპალიტეტის
პრიორიტეტების დოკუმენტი

2021-2024 წლები

I. შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

1. ისტორია	3
2. მდებარეობა	3
3. ფართობი	3
4. გეოგრაფია	3
5. ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სტიქიური უბედურებების რისკი	4
6. მმართველობის ორგანოები	5
7. მოსახლეობა	5
8. ეკონომიკა	6
9. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	6
10. საჯარო დაწესებულებები	7
11. ბიუჯეტი	8

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

1. შემოსულობები	9
2. გადასახდელები	10
3. ბიუჯეტის ბალანსი	11
4. 2019 წლის შესრულების მიმოხილვა	12
5. 2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა	16

**თავი III. გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები
საშუალოვადიან პერიოდში**

- ინფრასტრუქტურის განვითარება	19
- დასუფთავება და გარემოს დაცვა	27
- განათლება	28
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	30
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	37
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	47

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

გორის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შიდა ქართლის მხარეში. გორი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია საქართველოში და VII საუკუნიდან იხსენიება, ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1801 წელს. სახელწოდება წარმოდგება ქალაქში აღმართული კლდოვანი გორაკისაგან, რომელზეც გაშენებულია ძველი ციხე-სიმაგრე. ციხე ბევრჯერ დაინგრა და აშენდა ხელმეორედ. აღდგა 1774 წელს, მაგრამ ძალიან დაზიანდა 1920 წელს მიძისძვრის დროს. ქალაქი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და ეკონომიკური გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა.

გორის მუნიციპალიტეტში მრავალი ისტორიული და კულტურული ძეგლია. გორის მთავარ ღირსშესანიშნაობათა შორისაა: გორის ციხე, საკათედრო ტაძარი, თეატრი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და სტალინის მუზეუმის კომპლექსი.

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს VII საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი - ატენის სიონი და კლდეში ნაკვეთი უძველესი ქალაქი უფლისციხე, რომელიც ასევე VII საუკუნით თარიღდება.

მდებარეობა

გორის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილის, ისტორიული ქართლის შუაგულში, მტკვრისა და ლიახვის შესართავთან. გორის მუნიციპალიტეტის ცენტრი საქართველოს დედაქალაქიდან - თბილისიდან დაშორებულია 75 კილომეტრით, ხოლო თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 93 კილომეტრით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის ს-1 (თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)) და ს-10 (გორი (სატრანსპორტო კვანძი)-ცხინვალი-გუფთა-ჯავა-როკი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)) საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები. სარკინიგზო მანძილი თბილისიდან გორის მუნიციპალიტეტის ცენტრამდე 76 კილომეტრია.

ფართობი

გორის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ოლქი, აღმოსავლეთით - ვასპის, სამხრეთით - ბორჯომისა და წალკის, დასავლეთით - ქარელის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობი შეადგენს 1280,74 კმ²-ს.

გეოგრაფია

მუნიციპალიტეტის ცენტრი (ქალაქი გორი) ზღვის დონიდან 588-600 მეტრზე მდებარეობს, ხოლო მუნიციპალიტეტის ცალკეული მთიანი ნაწილები გაცილებით მაღალია. ყველაზე მაღალ წერტილს განეკუთვნება „ჯამჯამას“ მწვერვალი თრიალეთის ქედზე, რომელიც ზღვის დონიდან 1780 მეტრზე მდებარეობს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენს გორის ვაკე (ტერიტორიის დაახლოებით 39,7%, ზღვის დონიდან 745 მ) და შუა მტკვრის ხეობის ძირის ვრცელი ტერასული ვაკეები, სამხრეთ ნაწილს - თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთა, კვერნაქის ქედი (უმაღლესი წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან 879 მ) და თრიალეთის ქედის მთისწინეთის ნაწილი.

მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ლიახვი, ტანა, პატარა ლიახვი, მეჯუდა, თეძამი.



ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სტიქიური უბედურებების რისკი

გორის მუნიციპალიტეტში ზომიერად თბილი, სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავაა. ხასიათდება ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურა $+11^{\circ}\text{C}$, (იანვრის საშუალო ტემპერატურა ვაკეზე $-1,5 -1,7^{\circ}\text{C}$; მთიან ზონაში $-3,2^{\circ}\text{C}$; აგვისტოში - ვაკეზე $+22,5^{\circ}\text{C}$, დაბალმთიან ზონაში $+18,6^{\circ}\text{C}$; გორის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ყველაზე ცივი ტემპერატურა დაფიქსირებულია -28°C , ხოლო მაქსიმალური ტემპერატურა $+40^{\circ}\text{C}$). ნალექების წლიური რაოდენობა საშუალოდ 500 მმ-ია, მაქსიმალური რაოდენობა 760 მმ-ია, ხოლო მინიმალური 330 მმ.

გაბატონებული ქარებია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

მუნიციპალიტეტში გამავალი მდინარეები აგრესიულია, რომლებიც წყალდიდობის დროს ტბორავენ სანაპირო მიწებს. ყველაზე დიდი წყალდიდობა აღინიშნა 1968 წელს და აქედან დაფიქსირდა მდ. მტკვრის კორექტირებული წყლის ხარჯი $1750 \text{ მ}^3/\text{წმ}$, რომელიც აღინიშნება 100 წელიწადში ერთხელ. იგივე მაჩვენებელი მდ. ლიახვისათვის არის $1000 \text{ მ}^3/\text{წმ}$, მდ. მეჯუდისათვის $200-225 \text{ მ}^3/\text{წმ}$. აღნიშნული მაჩვენებლები მხედველობაშია მისაღები მდინარეების კალაპოტების რეგულირების დროს.

გეოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორიაზე გვხვდება სხვადასხვა მახასიათებლების გრუნტები. აქ სახეზეა: რიყნარი, რიყნარი ქვიშის შემავსებლით, თიხნარი და შერეული. ტერიტორიის ნაწილზე, განსაკუთრებით კვერნაქის ზეგანის ფერდობებზე აღინიშნება ჯდენადი და მცოცავი გრუნტები.

მმართველობის ორგანოები


გორის მუნიციპალიტეტს ჰყავს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - მერი და 40 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო, რომლის 25 წევრი არჩეულია მაჟორიტარული, ხოლო 15 წევრი პროპორციული სისტემით.

გორის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 23 ტერიტორიულ ორგანოდ, მათ შორის ქალაქი გორი და თემები: ნიქოზი, დიცი, კარალეთი, მერეთი, საყავრე, ტირძნისი, ქვახვრელი, ატენი, ტინისხიდი, შინდისი, ვარიანი, ძევერა, ტყვიავი, ახალუბანი, მღებრიანი, შავშვები, ბოშური, ბერბუკი, სკრა, მეჯვრისხევი, ზედდულეთი, ხიდისთავი.

მოსახლეობა

გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 125,7 ათას კაცია. მუნიციპალიტეტში 110 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 109 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის გორის მუნიციპალიტეტი მე-4 ადგილზეა.



მუნიციპალიტეტში დასახლებული 125,7 ათასი მოსახლიდან 64,8 ათასი ქალი, ხოლო 60,9 ათასი მამაკაცი. მათ შორის საქალაქო დასახლებებში რეგისტრირებულია სულ 48,1 ათასი პირი, სასოფლო დასახლებებში რეგისტრირებულია 77,6 ათასი მაცხოვრებელი.

გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 3,38%-ს, ხოლო, შიდა ქართლის რეგიონის 48,8%-ს შეადგენს.

გორის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2019 წლის 01 იანვრის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3,723,5	69700,0
შიდა ქართლის რეგიონი	257,3	3428,3
გორის მუნიციპალიტეტი	125,7	1280,7
პროცენტი საქართველოსთან	3,37%	1,84%
პროცენტი რეგიონთან	48,8%	37,4%

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 29,7 ათასი პენსიონერი და 7818 ოჯახი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა, რომელშიც 24,9 ათასი ბენეფიციარია.

ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი დარგობრივი სტრუქტურა აგროსექტორში წარმოებული პროდუქციის გადამამუშავებაა, აგრეთვე მშენებლობა, მრეწველობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და სხვა მომსახურება.

გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი მსხვილი საწარმოების ჩამონათვალი შემდეგია:
გორის საკონსერვო ქარხანა - „კულა“

შ.პ.ს. „დგარი-2005“ - რკინა-ბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციების წარმოება

შ.პ.ს. „ვერელი+“ - ხიდების, გზების, ესტაკადების, ტუნელების მშენებლობა

შ.პ.ს. „ლეგი ჯგუფი“ - გოფირებული ქაღალდისა და მუყაოს წარმოება

შ.პ.ს. „მანათე“ - კვერცხის წარმოება

შ.პ.ს. „მშენებელი“ - შენობების საერთო მშენებლობა

შ.პ.ს. „სამშენებლო ტრესტი №3“ - შენობების საერთო მშენებლობა

შ.პ.ს. „შარა“ - შენობების საერთო მშენებლობა

შ.პ.ს. „იბოლია“ - გზებისა და აეროდრომების მშენებლობა

შ.პ.ს. „აგროქართლი“ - პესტიციდებით და სხვა აგროქიმიური პროდუქტებით

საცალო ვაჭრობა

შ.პ.ს. „აგროტექნოპლუსი“ - შხამ-ქიმიკატებით ვაჭრობა

შ.პ.ს. „გორი 21-ე საუკუნე“ - საბითუმო ვაჭრობა კვების პროდუქტებით, სასმელების

ჩათვლით და თამბაქოს ნაწარმით

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

გორის მუნიციპალიტეტი რამდენიმე მნიშვნელოვანი საავტომობილო მაგისტრალის გადაკვეთაზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის ს-1 „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ საავტომობილო გზა და ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის ს-10 „გორი (სატრანსპორტო კვანძი)-ცხინვალი-გუფთა-ჯავა-როკი“ საავტომობილო გზა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შ-29 „ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარელი-ოსიაური“, შ-24 „გორი-ვარიანი-ცხინვალი“, შ-137 „ხიდისთავი-ატენი-ბოშური“, შ-138 „გორი-მეჯვრისხევი“ და შ-139 „უფლისცხის კომპლექსთან მისასვლელი“, შ-60 „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ საავტომობილო გზის კმ 81 და კმ 87 გორის მისასვლელი; შ-72 „ტირძნისი-დიცი-ერედვი-ხეითი“; შ-198 „გორი-ცხინვალი-გუდთა-ჯავა-როკი“ საავტომობილო გზის კმ 1 – ვარიანი-საქაშეთი-ბრეთი-თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ 102 (ქარელის გადასხვევი); შ-196 „ნიქოზი-ავნევი“; შ-202 „გორის გვირაბების შემოსასვლელი“ საავტომობილო გზები. გორი წარმოადგენს ამიერკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის ერთ-ერთ საკვანძო ქალაქს, საიდანაც იყოფა ცხინვალის მიმართულებით მიმავალი რკინიგზა.

მუნიციპალიტეტში, როგორც შიდა ასევე მის ფარგლებს გარეთ, მგზავრთა გადაყვანას ახორციელებს კერძო ტრანსპორტი. საქალაქთაშორისო და სარაიონთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლას უზრუნველყოფს ერთი მოქმედი ავტოსადგური. ძირითადი მარშრუტებია:

- გორი - თბილისი;
- გორი - გორის მუნიციპალიტეტის სოფლები;
- გორი - ხაშური;
- გორი - კასპი და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები;
- გორი - ქარელი და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები;

მუნიციპალიტეტში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისათვის აუცილებელია შიდა ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება, თუმცა ამ სფეროში ბევრი საკითხი მეტ მხარდაჭერას მოითხოვს. ახალი წლიდან ქალაქის ტერიტორიის დიდ ნაწილს მოემსახურება 30 ერთეული მუნიციპალური ტრანსპორტი, რომლის შექმნა ხორციელდება საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში.

ქალაქში და მის გარეუბნებში მარშრუტების რაოდენობა 28-ს შეადგენს, რომელსაც მუნიციპალურ ტრანსპორტთან ერთად ყოველდღიურად მოემსახურება 58 ერთეული M2 კატეგორიის სამგზავრო სატრანსპორტო საშუალება. ასევე ქალაქში კარგად არის განვითარებული ტაქსით მომსახურების კომპანიები.

საჯარო დაწესებულებები


გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 72 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 18 770 მოსწავლე;
- 63 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცესს გადის 5825 ბავშვი;
- კულტურისა და ტურიზმის განვითარების სააგენტო-დაწყებითი სამუსიკო და სამხატვრო განთლების მიღებაზე, წრეებსა და პროგრამებზე მონაწილეობს 1612 აღსაზრდელი;
- სპორტის განვითარების სააგენტო-სპორტის სხვადასხვა სახეობას ეუფლება 2388 აღსაზრდელი;
- ფეხბურთის კლუბი „გორი“ - პროფესიას ეუფლება 550 აღსაზრდელი.

ბიუჯეტი

გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 56,5 მლნ ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების ნახევარზე მეტს (37,6 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებული ღირებულების გადასახადი რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (28,1 მლნ ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა დელეგირებული უფლებამოსილების და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

გორის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2015-2020 წლებში



თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2019-2024 წლებში

შემოსულობები

2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2020-2022 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამატებითი ღირებულების გადასახადის 19% განაწილდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2019-2024 წლების ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით. გრანტების (ტრანსფერების) მაჩვენებელში ასევე გათვალისწინებულია საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც უქმდება გათანაბრებითი ტრანსფერი. შესაბამისად, როგორც 2019 წელს ისევე შემდგომ წლებშიც გორის ბიუჯეტის შემოსულობებში გათანაბრებითი ტრანსფერი არ არის მოცემული. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში, მცირეოდენი ზრდით შემდგომი წლებზე, მოცემულია ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის. სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

გორის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2019 –2024 წლებში

დასახელება	2019 ფაქტი	2020 გეგმა	2021 პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
შემოსულობები სულ	60 245.9	56 524.1	42 225.0	44 550.0	47 337.0	50 586.0
შემოსავლები	59 492.9	55 274.1	41 725.0	44 050.0	46 837.0	50 086.0
გადასახადები	34 858.0	32 386.2	37 121.8	39 617.8	42 384,2	45 633,6
საშემოსავლო გადასახადი						
დამატებითი ღირებულების გადასახადი	29 962.0	28 086.2	32 521.8	35 017.8	37 784,2	41 033,6
ქონების გადასახადი	4 896.0	4 300.0	4 600.0	4 600.0	4 600.0	4 600.0
გრანტები	19 529.4	18 936.7	418.8	300.0	300.0	300.0
საერთაშორისო ორგანოზ. მიღებული გრანტები	1 113.7	184.6	118.8			
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	18 415.6	18 752.1	300.0	300.0	300.0	300.0
გათანაბრებითი ტრანსფერი						
მიზნობრივი ტრანსფერი	914.3	512.8	300.0	300.0	300.0	300.0
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	17 501.3	14 439.3				
სხვა შემოსავლები	5 105.5	3 951.2	4 184.4	4 132.2	4 152.8	4 152.4
არაფინანსური აქტივების კლება	740.0	1 250.0	500.0	500,0	500,0	500,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)	12.9	515.2	521,2			
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება)						

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2020-2024 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. გორის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

გორის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2019 –2024 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2019 ფაქტი	2020 გეგმა	2021 პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
გადასახდელები სულ	57 160.0	66 661.7	42746,2	44 550.0	47 337.0	50 586.0
ინფრასტრუქტურის განვითარება	29 570.7	36 447.1	14 939,9	15 561.5	15 957.8	18 792.3
დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 479.4	2 710.3	2 708.3	2 732.4	2 992.3	3 273.6
განათლება	10 473.7	11 978.5	8 960.0	9 550.0	9 770.0	9 770.0
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6 154.7	6 134.4	5 851.6	5 884.4	6 014.5	6 057.5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 282.5	2 334.0	2 194.4	2 213.5	2 220.0	2 267.5
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6 199.0	7 057.3	8 092.0	8 608.2	10 382.4	10 425.1

ბიუჯეტის ბალანსი

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2019 – 2024 წლებში

ათას ლარში

დასახელება	2019 ფაქტი	2020 გეგმა	2021 პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
I. შემოსავლები	59 492,9	55 274,1	41 725,0	44 050,0	46 837,0	50 086,0
გადასახადები	34 858,0	32 386,2	37 121,8	39 617,8	42 384,2	45 633,6
გრანტები	19 529,4	18 936,7	418,8	300,0	300,0	300,0
სხვა შემოსავლები	5 105,5	3 951,2	4 184,4	4 132,2	4 152,8	4 152,4
II. ხარჯები	27 077,5	29 313,8	31 294,0	32 918,1	33 979,3	34 631,8
შრომის ანაზღაურება	3 949,8	3 945,0	4 245,0	5 482,0	5 532,0	5 582,0
საქონელი და მომსახურება	3 485,2	3 884,0	3 201,0	3 357,3	3 793,5	3 903,2
პროცენტი	274,4	261,2	411,0	369,0	133,0	83,0
სუბსიდიები	16 401,1	17 651,3	20 200,0	20 831,3	21 592,3	22 095,1
გრანტი	0,0	3,9	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 507,3	1 578,8	1 629,5	1 534,5	1 534,5	1 574,5
სხვა ხარჯები	1 459,7	1 989,6	1 607,5	1 344,0	1 394,0	1 394,0
III. საოპერაციო სალდო	32 415,4	25960,3	10 002,0	11 131,9	12 857,7	15 454,2
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	29 067,4	35 735,4	10 431,0	10 707,9	10 512,7	13 071,2
ზრდა	29 807,4	36 985,4	11 057,3	11 207,9	11 012,7	13 571,2
კლება	740,0	1 250,0	500,0	500,0	500,0	500,0
V. მილიანი სალდო	3 348,1	-9 775,1	-126,3	424,0	2 345,0	2 383,0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	3 072,9	-10 137,6	-521,2	0,0	0,0	0,0
ზრდა	3 085,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	3 085,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	12,9	10 137,6	521,2	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	10 137,6	521,2	0,0	0,0	0,0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-275,1	-362,5	-394,9	-424,0	-2 345,0	-2 383,0
კლება	275,1	362,5	394,9	424,0	2 345,0	2 383,0
საშინაო	275,1	362,5	394,9	424,0	2 345,0	2 383,0
სესხები						
სხვა კრედიტორული დავალიანებები						
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2019-2020 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2019 წლის ბიუჯეტის შესრულება

გორის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 60 245,9 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადებმა 34 858,0 ათასი ლარი, გრანტებმა 19 529,4 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 5 105,5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსავალმა 740,0 ათასი ლარი. 2018 წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა - 7 340,0 ათასი ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანადაფინანსებით) განხორციელდა ქვ. ხვითის გზის (სოფლის გასასვლელიდან ზ. ხვითის ცენტრამდე) რეაბილიტაცია, თარხნიშვილის ქუჩის საფეხმავლო გზის და მელიქიშვილის ქუჩის და ჩიხის სავალი ნაწილის ასფალტობეტონის საფარის რეაბილიტაცია, ქ. გორში ქუთაისის ქუჩის, ქ.წამებულის ქუჩის (აღმემენებლის ქუჩიდან ძმები რომელაშვილის კვეთამდე) და გორიჯვრის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია, მეჯვრისხევი-ახალუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, სოფლების დიცი-ქორდი-არბო-მერეთის გზის რეაბილიტაცია, გორგასლის ქუჩის რეაბილიტაცია, კახნიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია, კარალეთის დევნილთა დასახლებაში გზების რეაბილიტაცია, სუხიშვილის ქუჩის პარალელური, შიდაკვარტალური გზების რეაბილიტაცია, ქვ. ხვითის გზის რეაბილიტაცია (ცენტრიდან ზ. ხვითის მიმართულებით მისასვლელი გზა) და ბარნოვის ქუჩის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაცია. აღმშენებლის გამზირზე, სტალინის გამზირზე, ცხვინვალის გზ.№1 და №2, თბილისის, მშვიდობის, სუხიშვილის და ყიფიანის ქუჩებზე - გარე განათების მოწყობის სამუშაოები, სოფლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები, გორში კარალეთის დევნილთა დასახლებიდან გამავალი საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, ქ.გორში ჯუღაშვილის ქუჩაზე მდინარე მეჯუდაზე ნაპირსამაგრის რეაბილიტაცია, სოფელ ახალდაბაში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია და წმინდაწყლის დასახლებაში, №2 გაუქმებული სათავის დრენაჟის მოწყობის და ღია არხის დახურვის სამუშაოები. სოფელ ყელქვეულში, ზედდულეთში და ხურვალეთში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია. ქ.გორში ჭონქაძის ქუჩაზე საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და საწრაფო დახმარების შენობის მშენებლობა, სოფ. არბოში ნიკო ლომოურის სახლ მუზეუმის რეაბილიტაცია, ავტობუსების სადგომისა და დამხმარე ნაგებობების მოწყობა, სკოლამდელი დაწესებულებების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სოფლების ოთარშენის და ფხვენისის მინი მოედნების მოწყობა და სოფლებში ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია. განხორციელდა ქალაქის ქუჩების ორმოული შეკეთება, კირიონოს ქუჩის საფეხმავლო სივრცის, აბრამაშვილის და მეჯვრისხევის ქუჩების, კოსტავას ქუჩის, ყაზბეგის, ევდოშვილის და ეკ. ჯუღაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია და ავტოსადგურის ტერიტორიაზე შესასვლელ-გასასვლელი გზის რეაბილიტაცია. სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა სოფელ საყავრისა და წითელწყაროს საუბნო გზების მიმდინარე შეკეთება, სოფელ ორმოციდან სოფელ მღებრიანამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სოფ. საყავრეში გზის შეკეთება. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში, კერძოდ: არარეგისტრირებული კავშირების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანამონაწილეობით განხორციელდა 30 პროექტი, უნივერსიტეტის მე-2 და მე-3 კორპუსებს შორის საკალათბურთო მოედნის მოწყობას და მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების სასმელი წყლის სისტემის, ეზოების, საკანალიზაციო ქსელის, სადარბაზოების, და ეზოს მოასფალტების სამუშაოებს.

განხორციელდა ქალაქის ტერიტორიაზე მოსაწყობი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟება და მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობების რეაბილიტაცია.

განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა 6 პროექტი, მათ შორის: მედია პროექტ ეტალონის გამარჯვებულის და მისი კლასის დამრიგებლის დაფინანსება და საჯარო სკოლების 26 კურსდამთავრებულის დაჯილდოვება.

სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად წლის განმავლობაში ჩატარდა სპორტულ ღონისძიებები სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით. ასევე სპორტული სკოლების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტურნირებზე იასპარეხეს და წარმატებას მიაღწიეს სპორტსმენებმა I-II და III ადგილები დაიკავეს და წლის განმავლობაში ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

წლის განმავლობაში განხორციელდა 6 სპორტული ღონისძიების თანადაფინანსება, 9 წარმატებული სპორტსმენის ტრანსპორტით უზრუნველყოფა სხვა და სხვა სპორტულ შეჯიბრებებზე საასპარეზოდ და მიღწეული წარმატებებისათვის სპორტსმენებს და მწვრთნელებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები.

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 15 კულტურული ღონისძიების თანადაფინანსება და მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა 60 კულტურული ღონისძიება.

მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებების, აგრეთვე მასობრივი მოშხამვების და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით წლის განმავლობაში განხორციელდა პრევენციული ღონისძიებები.

მოსახლეობის დასნებოვნების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანისათვის ცალკეულ შემთხვევებში გატარებული იქნა პროფილაქტიკური გასინჯვები და მკურნალობა. რისკის ქვეშ მყოფ პირებს ჩაუტარდათ აცრები. მიუხედავად გატარებული ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებისა აუცრელ პაციენტებში მართვადი ინფექციებიდან დაფიქსირდა წითელას 99, ყივანახველას 10 და ყბაყურას 2 შემთხვევა.

გრიპის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ჩატარდა 1660 გრიპის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრა. ზოონოზური ინფექციებიდან ბრუცელოზის 3 და ბორელიოზის 7, ლეიშმანიოზის 1, ასევე ტუბერკულოზის 44 შემთხვევა დაფიქსირდა.

ცხოველების მიერ დაკბენილ პირთა რაოდენობამ შეადგინა 1843. ჩატარდა შესაბამისი პროფილაქტიკური მკურნალობა. პროფილაქტიკური აცრები ჩაუტარდა 779 ბავშვს. ჭიის კვერცხებზე გამოკვლეული იქნა 3028 პიროვნება. პროფილაქტიკის მიზნით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 1083 არსაზრდელს გადაეცა მედიკამენტი „ვერმოქსი“. კოლოს ნაჩეკებზე შემოწმდა 246 შენობა, მდინარის სანაპიროები 17.2-კა-მდე და არხები 600მ-მდე. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მიზნით თითქმის ყველა საჯარო სკოლას და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას გაეწია მეთოდური დახმარება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ პროგრამებში მონაწილეობა მიიღო და სხვა და სხვა პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 4205 სოციალურად დაუცველი

და სხვა ბენეფიციარი. წარმატებით განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული 13 სოციალური პროექტის თანადაფინანსება. მიმდინარე წელს განხორციელდა შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სმენადაქვეითებულ პირთა დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 90,5 ათასი ლარის ფარგლებში ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 371 ბენეფიციარს და გაიხარჯა 87,9 ათ. ლარი.

2. უხუცეს (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 4,0 ათასი ლარის ფარგლებში ერთჯერადი დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 3 უხუცესს. პროგრამიდან გახარჯულია 3,0 ათ. ლარი.

3. დედ-მამით ობოლი ბავშვების და მშობლის უფლებაშეზღუდული შვილების დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 30,0 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 21 ბენეფიციარს და დაიხარჯა 28,0 ათ. ლარი.

4. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 120,0 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 234 ბენეფიციარს და დაიხარჯა 119,7 ათ. ლარი.

5. დიალიზზე მყოფი და C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების ერთჯერადი სოციალური და სამედიცინო დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 51,5 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 117 ბენეფიციარს და წლის განმავლობაში გაიხარჯა 49,4 ათ. ლარი.

6. ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით. არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე, კანის ქრონიკული ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ბავშვების სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსების პროგრამით გათვალისწინებული 255,0 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 396 ბენეფიციარს და დაიხარჯა 254,4 ათ. ლარი.

7. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამით, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიოს ომის მონაწილეთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლთა, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამშვიდობო მისიით საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება გათვალისწინებული 25,0 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 74 ოჯახს და დაიხარჯა 22,2 ათ. ლარი.

8. სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარების პროგრამით, რომლის მიზანია აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის თანადაფინანსება ერთჯერადად იმ სტუდენტებისა, რომლებიც არ სარგებლობენ სხვა სახელმწიფო პროგრამით და არა აქვთ მოპოვებული სახელმწიფო გრანტი, არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ასევე, ოლიმპიური სახეობის საქართველოს ნაკრების მოქმედ სპორტსმენებს, რომელთაც აქვთ მინიჭებული სოციალური სარეიტინგო ქულა გათვალისწინებული 27.0 ათ. ლარის ფარგლებში 52 ბენეფიციარს გაეწია დახმარება და დაიხარჯა 26,0 ათ. ლარი.

9. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 267.7 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 843 ბენეფიციარს და დაიხარჯა 244.8 ათ. ლარი.

10. ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 426.0 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 1222 ბენეფიციარს და დაიხარჯა 398.5 ათ. ლარი.

11. სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამით, რომლის მიზანია საბიუჯეტო, არასამთავრობო, არარეგისტრირებული კავშირების, არასამეწარმეო და სხვა ორგანიზაციების თანადაფინანსება, რომლებიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენენ წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გათვალისწინებული 243.0 ათ. ლარის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა 18 პროექტი და დაიხარჯა 232.6 ათ. ლარი

12. უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით, რომლის მიზანია ეპილექსიით და პარკინსონიზმით დაავადებული, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით, შაქრიანი დიაბეტი - ტიპი II ფორმით (ინსულინდამოუკიდებელი), ბრონქიალური ასთმით დაავადებული, ფარისებრი ჯირკვლის დაავადების მქონე ბენეფიციარების დახმარება ერთჯერადად, გათვალისწინებული 28.0 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 257 ბენეფიციარს და დაიხარჯა 25.5 ათ. ლარი.

13. ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და სტიქიური მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 50.3 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 68 ოჯახს და დაიხარჯა 44.7 ათ. ლარი.

14. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 39.0 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 141 ბენეფიციარს და დაიხარჯა 38.2 ათ. ლარი.

15. რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული 10,7 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 12 ბენეფიციარს და დაიხარჯა 10,7 ათ. ლარი.

16. მიუსაფარ პირთა და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 18,8 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 187 ბენეფიციარს და დაიხარჯა 18,7 ათ. ლარი.

17. მარტოხელა მშობლის დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 44,3 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 90 ბენეფიციარს და დაიხარჯა 43,5 ათ. ლარი.

18. სოციალურად დაუცველი. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 86,0 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 98 ბენეფიციარს და დაიხარჯა 80,5 ათ. ლარი

19. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის (ბენეფიციარების) დახმარების პროგრამით დაფინანსდა 12 ბენეფიციარი და დაიხარჯა 3,6 ათ. ლარი.

20. სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების თანამონაწილეობის წილის დაფინანსების პროგრამით გათვალისწინებული 2,0 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 2 ბენეფიციარს და დაიხარჯა 0,1 ათ. ლარი

21. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების კაპიტალური ან/და დროებითი

საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამით გათვალისწინებული 100,0 ათ. ლარის ფარგლებში შეძენილი იქნა 7 ერთეული საცხოვრისი და დაიხარჯა 58,4 ათ. ლარი.

22. 2019 წლის 1 იანვრიდან სასჯელალსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარების პროგრამით გათვალისწინებული 2,0 ათ. ლარის ფარგლებში დახმარება გაეწია 3 ბენეფიციარს და დაიხარჯა 0,6 ათ. ლარი

2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

2020 წელს დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 56 524,1 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადები 32 386,2 ათასი ლარი, გრანტები 18 936,7 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 3 951,2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 1 250,0 ათასი ლარი.

2020 წელს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერით, რომელიც შეადგენს 14 439,3 ათ. ლარს მიმდინარეობს ქუჩების, გზების, სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, საკანალიზაციო ქსელის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაცია.

გრძელდება ევროპის კომისიის პროგრამის - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მიღებული გრანტით ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის გრანტის ფარგლებში ხორციელდება სოფელ ციცაგიანთკარის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.

გორის მუნიციპალიტეტში 2020 წელს ხორციელდება შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

გორში კარალეთის დევნილთა დასახლებიდან გამავალი საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა - II ეტაპი.

გორში ბარნოვის, ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, ამილახვრის, ტყვიავის, შარტავას და ნადირაძის ქუჩების რეაბილიტაცია.

სოფელ ხიდისთავში ე.წ. ჩინეთის უბანში სასაფლაოს და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.

სოფელ კირბალი-ბერშუეთში, ქვახვრელში, ნაწრეტში, ფლავი-ფლავისმანში, ქერეში, ნადარბაზევში, ვარიანში და ოთარშენში გზების რეაბილიტაცია.

ცხინვალის გზატკეცილის ცენტრალური გზიდან შსს განსაკუთრებულ საქმეთა სამმართველოს შენობამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

სოფელ არაშენდაში, ნადარბაზევში, ძევერაში, ხიდისთავში და წედისი-ბნავისი-ოლოზის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.

სოფელ ბობნევეში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.

სოფელ თედოწმინდაში, ცენტრალური გზიდან სოფელში და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

გზების მოხრეშვა და მოვლა-შენახვა.

საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობა.

გორში, გზების და ქუჩების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების პროგრამა.

საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია.

გორში არსებული ქუჩების მწვანე ზოლების, პარკების და წყლის შადრევნების ტექნიკური წყლით მომარაგების სისტემის მოწყობა.

მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია.

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია.

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდება გზების, სკვერების, საბავშვო გასართობი და სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, სასამელო წყლის სისტემის, სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, და სხვა 2800,0 ათ. ლარის ოდენობით.

მიმდინარეობს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სხვა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები თანხით 1630,0 ათ. ლარი.

ხორციელდება განათლების, სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული პროგრამები.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით ხორციელდება სოციალური პროგრამები:

1. მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სმენადაქვეითებულ პირთა დახმარების პროგრამა 90,0 ათასი ლარის ფარგლებში.

2. უხუცეს (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 5,0 ათასი ლარის ფარგლებში.

3. დედ-მამით ობოლი ბავშვების და მშობლის უფლებაშეზღუდული შვილების დახმარების პროგრამა 31,0 ათ. ლარის ფარგლებში.

4. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 183,2 ათ. ლარის ფარგლებში.

5. დიალიზზე მყოფი და C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების ერთჯერადი სოციალური და სამედიცინო დახმარების პროგრამა 105,3 ათ. ლარის ფარგლებში.

6. ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით. არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე, კანის ქრონიკული ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ბავშვების სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსების პროგრამა 228,0 ათ. ლარის ფარგლებში.

7. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამით, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიოს ომის მონაწილეთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამშვიდობო მისიით საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება 22,0 ათ. ლარის ფარგლებში.

8. სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარების პროგრამით, რომლის მიზანია აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის თანადაფინანსება ერთჯერადად იმ სტუდენტებისა, რომლებიც არ სარგებლობენ სხვა სახელმწიფო პროგრამით და არა აქვთ მოპოვებული სახელმწიფო გრანტი, არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ასევე, ოლიმპიური სახეობის საქართველოს ნაკრების მოქმედ სპორტსმენებს, რომელთაც აქვთ მინიჭებული სოციალური სარეიტინგო ქულა 21,0 ათ. ლარის ფარგლებში.

9. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამა 200,0 ათ. ლარის ფარგლებში.

10. ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარების პროგრამა 400,0 ათ. ლარის ფარგლებში.

11. სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამით, რომლის მიზანია საბიუჯეტო, არასამთავრობო, არარეგისტრირებული კავშირების, არასამეწარმეო და სხვა ორგანიზაციების თანადაფინანსება, რომლებიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენენ წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, 238,0 ათ. ლარის ფარგლებში.

12. უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით, რომლის მიზანია ეპილევსიით და პარკინსონიზმით დაავადებული, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით, შაქრიანი დიაბეტი - ტიპი II ფორმით (ინსულინდამოუკიდებელი), ბრონქიალური ასთმით დაავადებული, ფარისებრი ჯირკვლის დაავადების მქონე ბენეფიციარების დახმარება ერთჯერადად, 24,0 ათ. ლარის ფარგლებში.

13. ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარების პროგრამა 40,0 ათ. ლარის ფარგლებში.

14. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარების 48,0 ათ. ლარის ფარგლებში.

15. რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარების თანადაფინანსების პროგრამა 13,5 ათ. ლარის ფარგლებში.

17. მარტოხელა მშობლის დახმარების პროგრამა 46,3 ათ. ლარის ფარგლებში.

18. სოციალურად დაუცველი. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა 110,0 ათ. ლარის ფარგლებში.

19. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების პროგრამა 0,5 ათ. ლარის ფარგლებში.

20. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის (ბენეფიციარების) დახმარების პროგრამა 3,0 ათ. ლარი.

21. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების კაპიტალური ან/და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამა 68,0 ათ. ლარის ფარგლებში.

22. 2020 წლის 1 იანვრიდან სასჯელადსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარების პროგრამა 0,6 ათ. ლარის ფარგლებში.

თავი III. გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	29 570,7	36 645,9	15 368,9	15 561,5	15 957,8	18 792,3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	13 730,9	14 310,3	3 775,1	3 660,0	4 260,0	4 760,0
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა	340,3	548,0	300,0	300,0	400,0	400,0
02 01 02	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	13 390,6	13 702,3	3 112,3	3 000,0	3 500,0	4 000,0
02 01 03	საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობა	0,0	60,0	362,8	360,0	360,0	360,0
02 02	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 606,2	2 078,3	1 203,7	1 203,7	1 267,5	1 404,2
02 02 01	გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა	280,0	258,7	303,7	334,1	367,5	404,2
02 02 02	გარე განათების ელექტროენერგიის ღირებულება	835,1	886,5	900,0	900,0	900,0	1 000,0
02 02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია	1 491,1	933,1	0,0	0,0	0,0	0,0
02 03	დასუფთავების ღონისძიებები	126,9	180,0	0,0	200,0	200,0	200,0
02 04	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	1 457,9	1 691,3	40,0	40,0	40,0	40,0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	1 336,1	1 687,4	0,0	0,0	0,0	0,0
02 06	წყლის სისტემების განვითარება	2 773,5	6 435,4	2 506,2	2 528,0	1 928,5	3 944,0
02 06 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	1 944,9	5 561,4	1 542,2	1 500,0	850,0	2 810,0
02 06 02	სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურება	216,2	230,0	220,0	220,0	220,0	220,0
02 06 03	წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა	612,4	644,0	744,0	808,0	858,5	914,0
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების	1 147,3	1 117,2	754,0	800,0	900,0	900,0

პროგრამ ული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
	ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება						
02 08	ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	49,2	65,0	65,0	65,0	65,0	65,0
02 09	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება	288,5	550,8	300,0	300,0	350,0	350,0
02 10	სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია	564,5	520,1	0,0	0,0	0,0	0,0
02 11	ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის ხელშეწყობა	191,8	10,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 12	სახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებები	100,0	130,0	100,0	100,0	100,0	100,0
02 13	შადრევის რეაბილიტაცია	0,0	1,4	0,0	0,0	0,0	0,0
02 14	სკვერების და გაზონების რეაბილიტაცია	474,9	1 29,0	624,9	613,0	300,0	300,0
02 15	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის შექმნა	133,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 16	მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია	506,2	1 571,3	0,0	185,9	150,0	150,0
02 17	სპორტული მოედნების მოწყობა და რეაბილიტაცია	739,4	1 220,2	100,0	0,0	200,0	200,0
02 18	დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება	513,9	1 131,4	187,0	370,0	900,0	1000,0
02 19	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გორში მდგრადი განვითარებისათვის	807,5	836,1	0,0	0,0	0,0	0,0
02 20	აზრებისა და მემორიალის მოწყობა-რეაბილიტაცია	14,8	23,0	0,0	0,0	28,7	29,2
02 21	მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარება	272,8	277,0	295,0	295,0	295,0	295,0
02 22	სასაფლაოების შემოღობვა	71,3	17,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 23	კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება	140,0	471,0	376,0	415,8	457,5	503,2
02 24	მოსაცდელების მოწყობა	18,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 25	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შექმნა	1 506,2	1 058,5	0,0	100,0	0,0	0,0
02 26	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 27	სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირება და მართვა	0,0	20,0	20,0	23,2	25,6	28,2

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
02 28	სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	0,0	14,3	0,0	0,0	0,0	0,0
02 29	მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა	0,0	200,0	1 600,0	1 651,5	1 690,0	1 723,5
02 30	სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა	0,0	0,0	2 980,0	2 980,0	2 800,0	2 800,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მოვლა-შენახვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
			300,0	1400,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 01 01	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		საკომუნიკაციო საშუალებების, კერძოდ გზების მოვლა-შენახვა და განვითარება; ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია; ორმული შეკეთება; სოფლებში შიდასაუბნო გზების მოწესრიგება; გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშინდაკება; გზისპირა კიუვეტების გაწმენდა გრეიდერით; გაბიონების მოწყობა; ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტ-ბეტონით; სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრემოვანი ნარევით. მიზანი - გზების მიმდინარე შეკეთება საექსპლოატაციო ვადის გახანგრძლივებისა და უსაფრთხო გადაადგილებისთვის		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
			3112,3	13612,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 01 02	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია უპირატესად იმ უბნებში, სადაც დასრულდა მიწისქვეშა კომუნაკაციების რეაბილიტაცია, ასფალტ-ბეტონის ახალი საფარის მოწყობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციით, ფეხით სავალი ნაწილების მოწყობა-რეაბილიტაცია, ბორდიურების მოწყობა. მიზანი - ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების სრული კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია. და ასფალტ-ბეტონის ახალი საფარის მოწყობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციით, ფეხით სავალი ნაწილების მოწყობა-რეაბილიტაცია, ბორდიურების მოწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნების და მონიშვნების მოწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
			362,8	1442,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 01 03	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		საგზაო მოძრაობის ორგანიზებისათვის საჭირო ინვენტარის, ტექნიკური საშუალებების მოვლა-შენახვა; ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნების დახაზვა; ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების მონტაჟი-დემონტაჟი; სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური უსწორმასწორობების მოწყობა. მიზანი - გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში

	02 02 01		303,7	1409,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე და დეკორატიული განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით გარე განათების ქსელი მოიცავს მთლიანად ქალაქს და 70 ადმინისტრაციულ ერთეულს (დასახლებულ პუნქტს). გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაახლოებით 60-70%. გარე განათების სისტემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიცავს 10 000 განათების და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 10 000 სანათ წერტილს, 290 000 გრძივ მეტრ სადენს და სხვადასხვა დამხმარე მასალებს.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შადრევნების მოვლა-პატრონობა.</p> <p>მიზანი - გარე და დეკორატიული განათების სისტემაში პერიოდულად შექმნილი შეფერხების დროული აღმოფხვრა განათების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ელექტროენერჯის ღირებულება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		900,0	3700,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.</p> <p>მიზანი - მოსახლეობისათვის მუნიციპალური სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 04		40,0	160,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორში, რკინიგზის დასახლებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის გამწმენდი ნაგებობის მიერ მოხმარებული ელ.ენერჯის ღირებულების ანაზღაურება.</p> <p>მიზანი - კომუნალური სისტემის გაუმჯობესება.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		1542,2	6702,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სოფლების წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა და ახლის მშენებლობა.</p> <p>მიზანი - გორის მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		220,0	880,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სასმელი წყლის სოკოვებზე და შადრევნებზე დახარჯული წყლის ღირებულების და დევნილთა დასახლებებში სასმელი წყლის ჭაბურღილებისა და წყლის საქაჩების ფუნქციონირებისათვის საჭირო ელ.ენერგიის ღირებულების ანაზღაურება. მიზანი - დახარჯული წყლისა და ამ მიზნისათვის დახარჯული ელ. ენერგიის ღირებულების ანაზღაურება.
-------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		744,0	3324,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების, ჭაბურღილების, სატუმბო სადგურების, სარწყავი წყლის სისტემების ჭაბურღილების და რკ. სადგურის დასახლებაში წყალარინების ქსელის მონიტორინგი, ოპერატიულად აღმოიფხვრება ყველა დაზიანება. განხორციელდება გამწმენდი ნაგებობის გარე პერიმეტრის კეთილმოწყობა და ზედამხედველობა, მასში განთავსებულ ტუმბოებსა და სხვადასხვა აგრეგატებზე სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით. მოწმდება წყლის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში ხდება სასმელი წყლის გაუსწებოვნება. მიზანი - გორის მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება. ქ. გორში, რკ.გზის სადგურის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალარინების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და გამწმენდი ნაგებობის მოვლა-პატრონობა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 07		754,0	3354,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ინსპექტირების ანგარიშის (ექსპერტიზა) შედგენასა და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა. მიზანი - სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 08		65,0	672
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტიდან არაუმეტეს 90% ფარგლებში თანადაფინანსებას მიიღებს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო (საბავშო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.) არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა) (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასევე გათვალისწინებულია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების მუნიციპალური თანადაფინანსება მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება.			

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 09		300,0	1300,0

პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტიდან არაუმეტეს 90%-ის ფარგლებში თანადაფინანსებას მიიღებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა/არარეგისტრირებული კავშირი, რომელიც თვითონაც მოახდენს პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მატერიალური, ტექნიკური, შრომითი ან ადამიანური რესურსით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ/არარეგისტრირებულმა კავშირმა შესაძლებელია მოახდინოს თანადაფინანსება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ასევე ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების, სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელის, ლიფტების, ფასადის, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების და ეზოების კეთილმოწყობის რეაბილიტაციის პროექტის საერთო ღირებულების მინიმუმ 10%-ით.</p> <p>მიზანი - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა; ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	საახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 12		100,0	400,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის მხატვრულ დონეზე გაფორმება, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი, ექსპლოატაცია და დემონტაჟი, სასცენო დეკორაციებით მომსახურება და სხვა.</p> <p>მიზანი - მოსახლეობისთვის სადღესასწაულო გარემოს შექმნა.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	სკვერების, პარკების და გაზონების რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 14		624,9	1837,9
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. გორში, 9 აპრილის სკვერისა და მონუმენტის რეაბილიტაცია და ტრიფონ გამსახურდიას ბიუსტის მოწყობა; კულტურისა და დასვენების პარკის „ახალბაღის“ რეაბილიტაცია თანადაფინანსებით.</p> <p>მიზანი - კომფორტულად მოწყობილი და ეკოლოგიურად შექმნილი სუფთა გარემო</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 17		100,0	500,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული კორტების რეაბილიტაცია</p> <p>მიზანი - მოსახლეობის სპორტული განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 18		187,0	2457,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.</p>
----------------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 21		295,0	1180,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ეკონომიკის არსებული მდგომარეობის ანალიზი; განვითარების შესაძლებლობების და პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა; რეკომენდაციების შემუშავება; საპროექტო წინადადებების მომზადება საგრანტო კონკურსებში დაფინანსების მოპოვების მიზნით და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება; გარე ინვესტიციების მოზიდვა და ინვესტორთა მხარდაჭერა.</p> <p>სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა და ფორმალური და არაფორმალური განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობა; საზოგადოების ჩართულობის დონის ამაღლების ხელშეწყობა და კონსულტაციების გაწევა. სამოქალაქო საზოგადოების მიერ ინიცირებული მნიშვნელოვანი საკითხების ლობირება.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი ნახაზების და შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტების მომზადება, მიწის ნაკვეთის დაკვალვის სამუშაოების ჩატარება, ხაზობრივი ნაგებობების და წერტილოვანი საკადასტრო ნახაზების მომზადება; სიტუაციური ნახაზების და თემატური გეოინფორმაციული რუკების მომზადება, კონსულტაციების გაწევა ქალაქგეგმარების საკითხში.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარება.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 23		376,0	1752,5
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის აღდგენა, საფეხმავლო გზებზე დაზიანებულ ბორდიურების და ფილების ამოცვლა, ქალაქში ხიდებზე მოაჯირების და ბორდიურების შეღებვა, წმ. გიორგის სახელობის გორიჯვრის ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე პერიოდულად ფერდობებიდან ჩამოცვნილი ნაშალის მოცილება-გასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწესრიგება (დაზიანებული სკამების და შადრევნების აღდგენა, შეღებვა), სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და სხვა.</p> <p>ასევე სასაფლაოების მოვლა-პატრონობა. წვიმის შედეგად საფეხმავლო გზებზე გამოტანილი ნაშალი მიწის გატანა. სასაფლაოების მოპირკეთების დროს ტარდება მონიტორინგი რათა არ დაირღვეს ზღვრული ნორმები.</p> <p>მიზანი - მუნიციპალური სივრცეების მოვლა-პატრონობა.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსაცდელის მოწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 24		30,0	30,0

პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოსაცდელის მოწყობა - რეაბილიტაცია მიზანი - მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს შექმნა			

პროგრამის დასახელება	კოდი	სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირება და მართვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 27		20,0	97,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამას ფარგლებში ა(ა)იპ კეთილმოწყობის სააგენტო წესდების საფუძველზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზებას ავტომობილების პარკირებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე, რაც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტის შეუზღუდავ და მოწესრიგებულ მოძრაობას. მიზანი - ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობა და ავტოსატრანსპორტის მოწესრიგებული მოძრაობა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 29		1600,0	6665,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების შექმნა, მათი მუდმივად გამართულ მდგომარეობაში შენახვა, შეკეთება, საწვავით უზრუნველყოფა; ადმინისტრაციის და მომუშავე პერსონალის შრომის ანაზღაურებით უზრუნველყოფა; პერსონალისთვის უნიფორმების და ინვენტარის შექმნა; მოსახლეობის მოთხოვნილებებზე მორგებული ოპტიმალური სამგზავრო გადაყვანის გრაფიკის შემუშავება მიზანი - მოსახლეობისათვის მაქსიმალურად გამართული სერვისის მიწოდება სამგზავრო გადაყვანის კუთხით.			

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 30		2980,0	11560,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთა განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები. მიზანი - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში.			

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 479,4	2 710,3	2 708,3	2 732,4	2 992,3	3 273,6
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2 044,5	2 133,2	2 133,2	2 130,3	2 296,5	2 508,2
03 02	პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვა	435,0	575,1	575,1	602,1	695,8	765,4
03 03	სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	0,0	2,0	0,0	0,0	0,0	0,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 01		2133,2	9068,2
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებასა და გატანას, რომელსაც ემსახურება 15 ერთეული ნარჩენების გამტანი ავტომობილი, ქალაქის გარდა სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ 76 სოფელში. ქალაქში განთავსებულია 500 სანაგვე სანაგვე ურნა, რომლის დაცლა ხდება ყოველდღიურად, ხოლო დაახლოებით 350 სანაგვე ურნა იცლება დღეში 2-ჯერ. მუნიციპალიტეტის სოფლებში განთავსებულია 1189 სანაგვე ურნა, რომლებიც იცლება დადგენილი გრაფიკის მიხედვით. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქის (კვერნაკის) ნაგავსაყრელზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 130 მ/კუბ. საყოფაცხოვრებო ნარჩენი, რაზეც ყოველდღიურად ძირითადად მუშაობს 15 ერთეული ნაგავშიდი (მათ შორის 8 ერთეული სპეც. ავტომანქანა). აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდვითი სამუშაოები, ხდება 55 ქუჩის, სკვერების სავალი ნაწილების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და დაგვილი მასის გატანა. ზამთრის სეზონზე დგება მორიგეობის გრაფიკი, საჭიროების შემთხვევაში ქალაქის ქუჩებში ვახდენთ მარილის მოხვნას 2 ერთეული სპეც. ავტომობილით.</p> <p>მიზანი - დასუფთავებული ტერიტორია, დაცლილი ურნები, გატანილი ნარჩენები და სათანადოდ მოვლილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 02		575,1	2638,4
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: სკვერებსა და გაზონების დასუფთავება, ტარდება მრავალწლიანი ნარგავების და ბუჩქების მოვლა-პატრონობა (მრავალწლიანი ნარგავების გასხვლა, ბუჩქების დეკორატიული კრეჭვა, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება, მორწყვა, ბალახის გათიბვა, მოწამვლა, მინერალური სასუქების შეტანა და სხვა). სკვერებსა და გაზონებში ხდება ერთლიანი ყვავილნარის მოწყობა და მრავალწლიანი (სხვადასხვა ჯიშის) ნერგების დარგვა. შემოსული წერილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება მრავალწლიანი ნარგავების გადაბეღვა და ამორტიზირებული ხეების მოჭრა. ხდება გათიბულის, გასხლულის და მოჭრილი მორების გატანა. აგრეთვე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სანერგე მეურნეობის მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ხდება ერთწლიანი ყვავილების ჩითილის გამოყვანა, მრავალწლიანი ნარგავების დათესვა, დაკალმება. აღნიშნულ საქმიანობას ემსახურება 2 ერთეული ავტომანქანა 2 ერთეული სპეც.ტექნიკა (ტრაქტორი).</p> <p>მიზანი - გამწვანებული, დასუფთავებული და მოვლილი სკვერები და გაზონები.</p>			

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ათას ლარი

პროგრამის კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	10 473,7	11 978,5	8 960,0	9 550,0	9 770,0	9 770,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	1 150,9	1 890,4	310,0	600,0	600,0	600,0
04 02	განათლების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	40,6	50,0	50,0	50,0	50,0	50,0
04 03	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	7 346,2	7 470,0	8 600,0	8 900,0	9 120,0	9 120,0
04 04	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	1 936,0	2 568,2	0,0	0,0	0,0	0,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 01		310,0	2110,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			

პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში სოფელ შინდისის და შერთულის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. მიზანი - საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობა.
----------------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 02		50,0	200,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს: გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას; აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან.</p> <p>პრიორიტეტული მიმართულებები:</p> <p>ა) არაფორმალური განათლება;</p> <p>ბ) საბუნებისმეტყველო;</p> <p>გ) საგანმანათლებლო-კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები (მაგ. მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი“, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა. შ.).</p> <p>• ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100%-იანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვებს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას:</p> <p>ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს;</p> <p>ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.</p> <p>• ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვება (ფასიანი საჩუქრები/ სტიპენდიები).</p> <p>• ქვეპროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 30-ე მუხლის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მიიღოს ზომები იმ მოსწავლეთა მიმართ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ შეძლეს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის მიღება.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, კლასგარეშე აქტივობების განხორციელება, ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების ქვეპროგრამაში.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 03		8600,0	35740,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)ივ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო			

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>სკოლამდელი აღზრდა ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.</p> <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მოსახლეობისთვის.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან; მეთოდური მიმართულების გაუმჯობესების მიზნით საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის სხვადასხვა საბავშვო ლიტერატურისა და სათამაშოების შესყიდვას; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განახლების მიზნით ავეჯის, საოჯახო ტექნიკის, სამზარეულოს ჭურჭლის, სხვადასხვა ქსოვილის ნივთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვას; სანიტრულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევებს.</p> <p>მიზანი - სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.</p>
-----------------------------------	---

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6 154,7	6 134,4	5 851,6	5 884,4	6 014,5	6 057,5
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3 060,7	3 012,5	2 960,0	3 080,0	3 206,1	3 245,1
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	373,7	205,0	165,0	200,0	200,0	200,0
05 01 02	პაპიტაშვილის სახ. საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია	22,9	122,5	0,0	0,0	0,0	0,0
05 01 03	თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 01 04	საფეხბურთო კლუბის განვითარების ხელშეწყობა	577,9	607,0	597,0	645,0	750,0	773,0
05 01 05	ქალთა ფეხბურთის განვითარება	50,0	65,0	65,0	65,0	65,0	65,0
05 01 06	ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარება	74,0	70,0	70,0	70,0	70,0	70,0
05 01 07	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	1 962,2	1 943,0	2 063,0	2 100,0	2 121,1	2 137,1
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2 868,2	2 797,9	2 671,6	2 684,4	2 688,4	2 692,4
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 02	სახელოვნებო სკოლების რეაბილიტაცია	0,0	76,3	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 03	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	71,5	72,0	72,0	72,0	72,0	72,0
05 02 04	გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიის დაცვა	68,9	69,6	69,6	69,6	69,6	69,6
05 02 05	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის და თანადაფინანსების პროგრამა	127,7	120,0	120,0	120,0	120,0	120,0
05 02 06	სოფელ არბოში ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია	228,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 07	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	1 225,0	1 290,8	1 240,8	1 250,1	1 251,1	1 252,1
05 02 08	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	201,8	209,3	209,3	210,3	211,3	212,3
05 02 09	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	599,5	607,0	607,0	608,0	609,0	610,0
05 02 10	მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	345,4	352,9	352,9	354,4	355,4	356,4
05 03	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	51,3	40,0	40,0	40,0	40,0	40,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	174,5	284,0	180,0	80,0	80,0	80,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		165,0	765,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მონიტორინგი, ტურნირზე გამარჯვებული სკოლების საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება. გამარჯვებული სკოლა საქართველოს წარადგენს მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადაზე. მათი ხელშეწყობის მიზნით გორის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მონაწილე გუნდების ეკვიპირების, სიგელების და თასების შესყიდვას.</p> <p>რაგბიში ჩართული გუნდებისა და სკოლებისათვის ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა, ამ გზით მათი სპორტული მიღწევების და შემდგომი პროგრესის ხელშეწყობა. მერია აცხადებს მზადყოფნას რამდენიმე ასაკობრივი გუნდის, რომლებიც ასპარეზობენ უმაღლეს ლიგაში („დიდი 10“) გარკვეული თანხით დაფინანსებას, მათი წახალისების მიზნით, რაც მიმართულია რაგბის განვითარებისკენ.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს პერსპექტიული სპორტსმენების გარკვეული თანხით წახალისებას სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. პროგრამით მოსარგებლე სპორტსმენმა უნდა დაასაბუთოს რა სპორტული შედეგის გაუმჯობესებისათვის ესაჭიროება კონკრეტულ სპორტულ შეჯიბრებში მონაწილეობა.</p> <p>პროგრამა შესაძლებლობას აძლევს შშმ პირებს მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში. აგრეთვე გათვალისწინებულია წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების დაჯილდოვება, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში და წარმოაჩენენ თავს მიღწეული შედეგებით.</p> <p>მიზანი - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, მოზარდების ჩართვა სპორტულ სექციებში. წლის შედეგების მიხედვით, წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების დაჯილდოვება.</p>
--------------------------------------	--

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 05 01 04</p>	<p>ფეხბურთის კლუბის განვითარების ხელშეწყობა</p>	<p>2021 წლის დაფინანსება ათას ლარში 597,0</p>	<p>2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში 2765,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი „გორი“</p>			
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო სკოლის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას.</p> <p>მიზანი - საფეხბურთო სკოლისა და გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში. ფეხბურთის განვითარება და ცხოვრების წესის დამკვიდრება მოზარდებში.</p>			

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 05 01 05</p>	<p>ქალთა ფეხბურთის განვითარება</p>	<p>2021 წლის დაფინანსება ათას ლარში 65,0</p>	<p>2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში 260,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი „გორი“</p>			
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალთა საფეხბურთო გუნდის „გორი იუნაიტედის“ დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.</p> <p>მიზანი - ქალთა საფეხბურთო გუნდის ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.</p>			

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 05 01 06</p>	<p>ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარება</p>	<p>2021 წლის დაფინანსება ათას ლარში 70,0</p>	<p>2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში 280,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი „გორი“</p>			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს. მიზანი - ამპუტანტთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზოზე.
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 07		2063,0	8421,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტის სააგენტო აერთიანებს 20 სპორტულ მიმართულებას: თავისუფალი ჭიდაობა (313 ბავშვი), კრივი (201 ბავშვი), ძიუდო (622 ბავშვი), ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი), სამბო (20 ბავშვი), კარატე-დო (39 ბავშვი), კიკბოქსინგი (72 ბავშვი), მკლავჭიდი (22 ბავშვი), მძლეოსნობა (38 ბავშვი), რაგბი (222 ბავშვი), ტაიკვანდო (40 ბავშვი), ტანვარჯიში (602 ბავშვი), ფრენბურთი (24 ბავშვი), ჩოგბურთი (41 ბავშვი), ჭადრაკი (226 ბავშვი), ხელბურთი (58 ბავშვი), კალათბურთი (518 ბავშვი), ქართული საბრძოლო ხელოვნება (9 ბავშვი), ძალოსნობა (15 ბავშვი), ექსტრემალური სპორტი (51 სპორტსმენი), სულ სააგენტოში სპორტის სახეობებს ეუფლება 3151 ბავშვი. აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას იღებენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე საზღვარგარეთ.</p> <p>სააგენტოში შემავალი კლუბი „გოლდენ გორის“ არსებობა ხელს უწყობს ჩვენს ქალაქსა და რეგიონში ძიუდოს პოპულარიზაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, აგრეთვე უცხოეთში გორის და საზოგადოდ საქართველოს ცნობადობის ზრდას.</p> <p>მიზანი - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		72,0	288,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება, მთავრობის გადაწყვეტილებებსა და მოქმედ პროგრამებზე ცნობადობის ამაღლება, ადგილობრივი თვითმართველობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების და მოქმედი პროგრამების შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება, კომპეტენტური პირებისგან შესაბამისი პასუხების მოძიება.</p> <p>მიზანი - აუდიტორიის კიდევ უფრო მეტად გაზრდის და საზოგადოების უფრო დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით ვებ გვერდის ამოქმედება და გაზეთის ელექტრონული ვერსიის წარმოება;</p> <p>ჟურნალ „აი ია“-ს საქმიანობა - მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების და მათი შესაძლებლობების რეალიზებისთვის ხელშეწყობა.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		120,0	480,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურის სფეროში თავისი მიღწევებით. აქ აღიზარდა მრავალი ნიჭიერი თაობა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს მუნიციპალიტეტს ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზოზე. გორში მოღვაწე ხელოვანები დღესაც წარმატებით და აქტიურად აგრძელებენ ტრადიციებს. გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას,			

თანადაფინანსების სახით ხელი შეუწყოს ყველა ორგანიზაციას, რომელიც მოღვაწეობს ხელოვნების სფეროში და კულტურული პროექტების განხორციელებით, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით უზრუნველყოს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესება; თანადაფინანსების სახით ხელი შეუწყოს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში, რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების, საპატიო გორელების დაჯილდოვებას და მათ წახალისებას. ასევე სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში გამარჯვებული ხელოვანების დაჯილდოვებას ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.

მიზანი - კულტურის სფეროს გაუმჯობესება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სხვადასხვა სახის კულტურული პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 07		1240,8	4994,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურული, ახალგაზრდული პროექტების, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მხარდაჭერის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქართული ეროვნული და მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის საფუძვლების გაცნობა. მათი სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრების ხელშეწყობა, ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაზე ზრუნვა. მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მისაცემად შესაბამისი კლასების, შემოქმედებითი კლუბების, სექციების, წრეების, ჯგუფების ისეთი შემეცნებით-სახელოვნებო მიმართულებებით ჩამოყალიბება როგორცაა: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ვოკალურ-ინსტრუმენტალური, ჟურნალისტიკური, თეატრალური, ხალხური რეჟისის და სხვა. ასევე საგანმანათლებლო საგნობრივი მიმართულებით. კულტურულ-შემოქმედებით და საგანმანათლებლო პროგრამებში იძულებით გადაადგილებულ, სოციალურად დაუცველ და საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების შვილების (მოსწავლეების) ოჯახების ჩართვა. აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებთან ურთიერთობა წარმოადგენს პრიორიტეტს. ასევე, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (მოსწავლეების) კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებში ჩართვა, მათთვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო-პირობების შექმნა და ინკლუზიური განათლების სპეციფიკის ხელშეწყობა. აგრეთვე, განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლე-ახალგაზრდების გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი ცენტრების, სკოლების, კლუბების, სექციების მეშვეობით მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის კულტურული, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; კულტურის განყოფილებაში შედის 9 რაიონის - ხიდისთავის, ახალხიზის, ქიწნისის, მეჯვრისხევის, ტყვიავის, ზერტის, ძევერის და ნიქოზის ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრები და ქ. გორში, სუხიშვილის ქ.№20-ში მდებარე - ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრი. ქალაქში არსებული წრეები: ვოკალის, ქართული ენის, საესტრადო ენის, ქორეოგრაფიული ცეკვის, რუსული ენის, ინგლისური ენის, თექის დამუშავების, ხალხური საკრავების (დოლები და საგალობელი), თეატრალური; რაიონებში არსებული წრეები: შინდისი - გიტარის, ვარიანი - ხალხური საკრავების, ძევერა - ხატვის, ხალხური სიმღერების, ზედდულეთი - ჭადრაკის, კარალეთი - ჭრა-კერვის, ქსოვის, ხატვის; ფლავისმანი - ხელგარჯილობის, ხიდისთავი - ქსოვის, ხატვის, დოლების, ქვახვრელი - ჭადრაკის, ატენი - სიმღერის, შავშვები - სიმღერის, მათემატიკის, მეჯვრისხევი - ცეკვის.</p> <p>მიზანი - განათლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების როლისა და მნიშვნელობის ზრდა, მათ შორის დისტანციური სწავლების განვითარება.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 08		209,3	843,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტში ტურიზმის მდგრადი ინდუსტრიის უზრუნველყოფა და მისი განვითარება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. რეგიონის ეკონომიკისა და მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არსებული ტურისტული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების მეშვეობით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, პოპულარიზაცია და ვიზიტორებისთვის მძლავრი ინფრასტრუქტურის შექმნა. ზრუნვა ტურიზმის განვითარებისთვის. ანალოგიური ტურისტული ბაზრებისთვის კონკურენციის გაწევა. აღნიშნულ სფეროში განათლების ხარისხის ამაღლება. ინვენტორების მოზიდვა, მომსახურების სფეროს ხარისხის გაუმჯობესება. ეფექტური პარტნიორობის მეშვეობით, ტურიზმის სფეროში მოღვაწე ადგილობრივი და კერძო სექტორისადმი დახმარება.</p> <p>მიზანი - რეგიონის, როგორც ბრენდის განვითარება და პოზიციონირება ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო ბაზარზე; ანალოგიური ტურისტული ბაზრებისთვის კონკურენციის გაწევა; საბაზრო წილის ზრდა; ინფრასტრუქტურის განვითარება; მომსახურების სფეროს გაუმჯობესება; განათლების ხარისხის ამაღლება; ტურიზმის სფეროში ინვენტორების მოზიდვა, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა. ეფექტური პარტნიორობით, ადგილობრივი კერძო სექტორის ხელშეწყობა და განვითარება.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 09		607,0	2434,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ქვედა საფეხურის სამუსიკო განათლების 5 სკოლა: სკრის, ატენის, ტირძნისის, ტყვიავის, ხელთუბნის. საბაზო-საორიენტაციო - ქ. გორში ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო და ხელოვნების სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 988 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 162 თანამშრომელს. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 297 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებულია 14 თანამშრომელი, მათ შორის 9 პედაგოგი.</p> <p>მიზანი - შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება;</p> <p>კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; საქველმოქმედო ღონისძიებების მოწეობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 10		352,9	1419,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო			

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შემდეგი ობიექტები: ისტორიულ-ეთნოგრაფიული და საბრძოლო დიდების მუზეუმები; ნიკოლოზის და ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმები; ე.წ. „ერეკლეს აბანო“; 3 ბიბლიოთეკა - ცენტრალური, მოზრდილთა და საბავშვო, მწერალთა სახლი.</p> <p>მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 114 126 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 3 215-ს. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში იგეგმება ევროკავშირის მიერ აშენებული ქართული ტრადიციული სახელოსნოების გახსნა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაცია დასრულდება და უკვე ახალ რეაბილიტირებულ მუზეუმში იგეგმება ნუმისმატიკის დარბაზის გახსნა უახლესი ტექნიკის აღჭურვილობით. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ეწევა სამეცნიერო-კვლევით და კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლის მუშაობის პრინციპია „გავუფრთხილდე წარსულს უკეთესი მომავლისათვის“.</p> <p>ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულება, რომლის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს 112 148 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაახლოებით 383 000 მოსახლე. აგრეთვე შექმნილია მოხუცთა და ინვალიდთა სპეციალიზებული საბიბლიოთეკო მომსახურება. ღონიძიებები იგეგმება წლის განმავლობაში აქტუალური თემატიკის მიხედვით და ასევე მკითხველთა მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p>ადგილობრივი მწერლების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება, ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მწერლების შემოქმედების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა შემოქმედთა კონსულტირება. ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების მომზადება, მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება. თანამედროვე სალიტერატურო ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობა. შემოქმედებითი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონიძიებების ორგანიზება. ლიტერატურული კონკურსების ჩატარება, გამოფენების მოწყობა.</p> <p>მიზანი - მოსახლეობაში ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა. დამთავალიერებლის მოზიდვა - დაინტერესება, ახალგაზრდა თაობის აღზრდა ეროვნული სულისკვეთებით და ჩართვა სამუზეუმო საქმიანობაში.</p> <p>ბიბლიოთეკებში მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციით და ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისთვის.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 03		40,0	160,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორც არის ჩრდილოატლანტიკური კავშირი და ევროკავშირი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი საკითხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაზე ადგილობრივ დონეზე, რაც გულისხმობს მთელი საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდულ სფეროს ეკოსისტემის შექმნას. ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობს მომავალში საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას. ზემოხსენებული მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მივყვეთ იმ ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა 2018 წლის დეკემბერში, სადაც დეტალურად არის გაწერილი ლოგიკური ჩარჩო და გარკვეულ პასუხისმგებლობებს აკისრებს გორის მუნიციპალიტეტს. გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებული იქნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, არასამთავრობო სექტორის,</p>			

საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, ახალგაზრდების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ, რაც გამოხატავს ახალგაზრდების ინტერესს და სურვილს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისა გორის მუნიციპალიტეტში.

პროგრამაში, ქვეპროგრამებად წარმოდგენილია ისეთი მიმართულებები, რომლის გარეშე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება წარმოუდგენელია:

- ახალგაზრდული ინიციატივების და პროექტების თანადაფინანსება - ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტში იმ იდეების განხორციელებას, რომელიც თავად სურთ ახალგაზრდებს. გარდა ამისა, გამოყენებულია საერთაშორისო სტანდარტი - ოქროს სამკუთხედი, რაც ახალგაზრდების, არასამთავრობო სექტორის და მუნიციპალიტეტის ჩართულობას გულისხმობს პროექტის განხორციელებისას.
- ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობის ქვეპროგრამა - ხელს უწყობს ყველა იმ ახალგაზრდას, რომელმაც გაიმარჯვა კონკურსში, ან რაიმე სახით იქნა შერჩეული სხვა კანდიდატებს შორის და მიემგზავრება სხვადასხვა მიზნით საზღვარგარეთ.
- სოციალურად აქტიური ახალგაზრდების წახალისების პროგრამა - სოციალურად აქტიური ახალგაზრდების და ასევე სოციალურად პასიური ახალგაზრდების წახალისების მიზნით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს ჰქონდეთ განცდა მათი შრომის დაფასების, რაც ერთთავად გავრდის შრომისუნარიანობას სოციალურად აქტიურ ახალგაზრდებში და სტიმულს მისცემს სოციალურად პასიურ ახალგაზრდებს გახდნენ აქტიურები.

ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ხელშეწყობა - დაეხმარება ყველა იმ ახალგაზრდას, რომელსაც მიზნის მისაღწევად ჭირდება მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა. აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწვევადი ჯგუფების მხარდაჭერას.

მიზანი - ახალგაზრდული პროგრამების და პროექტების განხორციელება, ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერა/ხელშეწყობა მათი განვითარების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ახალგაზრდული გარემოს გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 04		180,0	420,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, არსებული საგანძურის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრების, რელიგიური კერების აღდგენა-რეაბილიტაცია და ახალი კერების მშენებლობის ხელშეწყობა. მიზანი - კულტურული მემკვიდრეობის მოვლა.			

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ასევე ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 282,5	2 334,0	2307.4	2 213,5	2 220,0	2 267,5
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	134,8	215,0	135,0	135,0	135,0	135,0
06 02	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება	0,0	59,6	0,0	0,0	0,0	0,0
06 03	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-ოატრონობის სერვისების მიწოდების ხელშეწყობა	166,6	182,0	182,0	198,5	205,0	212,5
06 04	ამბულატორიების შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	190,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 05	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	1 791,0	1 877,4	1982.5	1 880,0	1 880,0	1 920,0
06 05 01	მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებულ (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	87,9	86,0	90,0	85,0	95,0	80,0
06 05 02	ასი და მეტი წლის ასაკის უზუცეს დღეგრძელთა დახმარება	3,0	6,0	6,0	6,0	6,0	6,0
06 05 03	დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და მშობლის (მშობლების) უფლებაშეზღუდული შვილების დახმარება	28,0	28,0	33,0	30,0	30,0	35,0
06 05 04	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	119,7	175,0	185,0	170,0	170,0	170,0
06 05 05	დიალიზზე მყოფი და C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების ერთჯერადი სოციალური და სამედიცინო დახმარება	49,4	103,8	109,5	110,0	100,0	100,0
06 05 06	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრო-მით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70.0 – E70.1), გლუტენის დაავადება (ცელიაკია ICD K90.0), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქითოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო და	254,4	210,0	225,0	210,0	210,0	210,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
	სოციალური დახმარება და სამედიცინო დახმარება						
06 05 07	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	22,2	20,0	23,0	20,0	20,0	20,0
06 05 08	სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება	26,0	22,0	22,0	25,0	25,0	25,0
06 05 09	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	244,8	200,0	222,0	200,0	200,0	200,0
06 05 10	ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება	398,5	400,0	416,0	400,0	400,0	450,0
06 05 11	სოციალური პროექტების თანადაფინანსება	232,6	241,0	250,0	250,0	250,0	250,0
06 05 12	უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	25,5	25,0	31,0	25,0	25,0	25,0
06 05 13	ხანძრების (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და სტიქიური მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება	44,7	40,0	41,0	30,0	30,0	30,0
06 05 14	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება	38,2	48,0	38,0	53,0	53,0	53,0
06 05 15	რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით	10,6	10,5	14,0	10,0	10,0	10,0
06 05 16	მიუსაფარ პირთა და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება	18,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 05 17	მარტოხელა მშობლის დახმარება	43,5	43,8	47,0	45,0	45,0	45,0
06 05 18	სოციალურად დაუცველი, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება	80,5	114,0	119,0	100,0	100,0	100,0
06 05 19	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება	0,1	2,0	2,0	2,0	2,0	2,0
06 05 20	ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა	3,6	4,0	4,0	4,0	4,0	4,0
06 05 21	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების კაპიტალური ან/და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა	58,4	97,7	100,0	100,0	100,0	100,0
06 05 22	2021 წლის 01 იანვრიდან სასჯელადსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი	0,6	0,6	5,0	5,0	5,0	5,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
	მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება						
0606	სახელმწიფო ზრუნვიდან გასული სრულწოვანი მოქალაქეების დახმარება			7.9			

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 01		135,0	540,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამოქმედო არეალში ეპიდემიოდამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა განხორციელება. 5-დან 10-წლამდე ასაკის ბავშვების უზრუნველყოფა ჰელმინთოზების სამკურნალო/პროფილაქტიკური პრეპარატებით, სხვადასხვა პარაზიტულ დაავადებებზე მოსახლეობისათვის რეკომენდაციების მიწოდება; „C ჰეპატიტი“ მოსახლეობის სკრინინგი სწრაფი/მარტივი ტესტებით, ახალი კორონა-ვირუსის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება მოსახლეობაში ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ცოფის გავრცელების სიტუაციური მართვის პროცესებზე მეთვალყურეობა. კონტროლსდაქვემდებარებული სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებაზე, ნოზოკომიური ინფექციების ეპიდემიოდამხედველობაზე რეკომენდაციების მიწოდება; ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული პირების კონტაქტების გამოვლენა, მათი რეფერალი ფტიზიატრთან; ფილტვგარეშე ტუბერკულოზის კვლევა, თუ კონტაქტირებული არის 5-წლამდე ასაკის ბავშვი ან აივ-ინფექცია/შიდსის მქონე; ურჩი ტუბ.პაციენტების მოძიება მათი მკურნალობაში ხელახალი ჩართვის მიზნით; სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული ტუბ.პაციენტების მოძიება მკურნალობის დასრულების მიზნით.</p> <p>იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა; იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით რისკ-ჯგუფების ვაქცინაცია „ბ-ჰეპატიტი“ და სეზონურ გრიპზე, იმუნოპროფილაქტიკის წარმოებაზე სამედიცინო დაწესებულებების ზედამხედველობა და მონიტორინგი. თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> <p>მიზანი - გადამდები და არაგადამდები დაავადებების შემთხვევაში ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი, გამოვლენა, ადეკვატური რეაგირება და პრევენციის უზრუნველყოფა, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება.მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის სერვისის მიწოდების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 03		182,0	798,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტო			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი ცხოველის ყოფნის შემთხვევაში, მათი დაჭერა, იზოლაცია და თავშესაფარში გადაყვანა სათანადოდ მოწყობილი და აღჭურვილი ავტომობილით, თავშესაფარში პირუტყვის შემოწმება ვეტექიმთა ჯგუფის მიერ, საჭიროების შემთხვევებში გაუწევს, როგორც მედიკამენტოზურ, ასევე, ქირურგიულ მკურნალობას. უპატრონო ძაღლების აყვანა მოხდება თანამედროვე ძაღლსაჭერით, უმტკივნეულოდ. უპატრონო ძაღლები განთავსდებიან საკარანტინო ვოლიერებში და განხორციელდება მათი აცრა ცოფზე. ლაბორატორიული დასკვნის საფუძველზე, ჯანმრთელ</p>			

ძალეებს ჩაუტარდებათ კასტრაცია/სტერილიზაცია, რათა, არ მოხდეს მათი გამრავლება. ნაოპერაციები ძალეების სრული გამოჯანმრთელების შემდეგ, ვეტერინართა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, მოხდება ძალის დაბრკვა და გაშვება ქალაქის არეალში. ინტენსიურად ჩატარებული მკურნალობის გასვლის შემდეგ, მუნიციპალურ ტერიტორიაზე უპატრონო ძალეების აყვანა განხორციელდება ჩატარებული მონიტორინგისა და ცხელ ხაზზე შემოსული გამომახების საფუძველზე.
მიზანი - მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი ცხოველებისგან სხვადასხვა ვირუსული დაავადებებისა და ცოფის გავრცელების პრევენცია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 01		90,0	350,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მკვეთრად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით; 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე მნიშვნელოვნად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით; სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით. მიზანი - ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ასი და მეტი წლის ასაკის უზუცეს დღეგრძელთა დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 02		6,0	24,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ასი და მეტი წლის უზუცეს დღეგრძელთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით მიზანი - ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დედ-მამით ობოლი ბავშვების და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 03		33,0	128,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	(0-დან 18 წლამდე) დედ-მამით ობოლი ბავშვების და იმ ბავშვების, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები, ერთჯერადი დახმარება სტაციონარული მკურნალობისათვის 500 (ხუთასი) ლარი; (0-დან 18 წლამდე) დედ-მამით ობოლი ბავშვების და იმ ბავშვების, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები, ერთჯერადი ფულადი დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარი. მიზანი - ობოლი ბავშვების ყოფითი პირობების გაუმჯობესება.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 04		185,0	695,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ერთჯერადად მე-3 შვილის შეძენაზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ 0-დან 150000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე 0-დან 18-წლამდე 3-შვილიანი ოჯახები, რომელთაც 2020 წლის 01 ნოემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეეძინათ მესამე შვილი;</p> <p>ერთჯერადად 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18-წლამდე ასაკის მქონე 4-შვილიანი ოჯახები. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წელს ოჯახმა ისარგებლა აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით, ოჯახს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს შესაბამისი 200 (ორასი) ლარიანი განსხვავებით.</p> <p>ერთჯერადად (თითო ბავშვზე) 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ 0-დან 18-წლამდე ასაკის მქონე გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5 და მეტშვილიანი ოჯახები. შესაბამისი განსხვავებით ისარგებლებენ ის ოჯახები, რომელთაც მიმდინარე წელს გამოიყენეს მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დახმარებები.</p> <p>მიზანი - მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.</p>
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 05		109,5	419,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დიალიზზე მყოფი ადამიანების ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.</p> <p>მიზანი - ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე, გლუტენის დაავადება, კანის ქრონიკული, ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება და სამედიცინო დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 06		225,0	855,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილლანემია ICD E70.0 – E70.1), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების და მედიკამენტების თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>2) ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, გლუტენის დაავადებით (ცელიაკია ICD K90.0) და ფენილკეტონურიით დაავადებული ადამიანების სოციალური დახმარება განისაზღვროს ერთჯერადად, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>3) (0-დან 18 წლამდე) აუტიზმის სპექტრის მქონე (F84.0; F84.1) ბავშვების სამედიცინო სტაციონარული ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო</p>			

სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად, თანადაფინანსებით, არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. მიზანი - ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მიცვალეულთა სარიტუალო მომსახურება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 07		23,0	83,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ-ვეტერანთა, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამშვიდობო მისიით, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, უპატრონო მიცვალეულთა სარიტუალო მომსახურება განისაზღვროს 300 (სამასი) ლარით. მიზანი - სარიტუალო მომსახურება.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 08		22,0	97,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალურად დაუცველი 0-დან 100 000-ის ჩათვლით სოციალური ქულის მქონე აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების და ოლიმპიურ სახეობებში საქართველოს ნაკრების წევრი ან/და კანდიდატი სპორტსმენების ერთჯერადი დაფინანსება 500 (ხუთასი) ლარით. მიზანი - სოციალურად დაუცველი სტუდენტების და სპორტსმენების ფინანსური მხარდაჭერა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 09		222,0	822,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც ესაჭიროებათ კვლევა, რაც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით და გააჩნიათ 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა, დახმარებას მიიღებენ ერთჯერადად არაუმეტეს 300 (სამასი) ლარის ოდენობით; სამედიცინო სტაციონალური მკურნალობის მომსახურების თანადაფინანსებას მიიღებენ ერთჯერადად არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით. მიზანი - ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 10		416,0	1666,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო სტაციონარული მკურნალობის მომსახურების თანადაფინანსება არაუმეტეს - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; კვლევა არაუმეტეს - 300 (სამასი) ლარის ოდენობით; მედიკამენტები არაუმეტეს - 300 (სამასი) ლარის ოდენობით. მიზანი - ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური პროექტების თანადაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 11		250,0	1000,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი სოციალური პროექტების თანადაფინანსებით განხორციელება მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანების პრობლემის გადაჭრა-მოგვარება ან/და პრევენცია, რაც ხელს შეუწყობს სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სამიზნე ჯგუფს მიკუთვნებული მოსახლეობის უზრუნველყოფა მათ საჭიროებაზე მორგებული, მრავალფეროვანი ჯანდაცვისა და სოციალური სერვისებით, კეთილსაიმედო გარემოს შექმნით და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიმართული პროექტებით.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 12		31,0	106,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მედიკამენტებით დახმარება გაეწევათ არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული: ა) პარკინსონიზმით და ეპილევსიით დაავადებული, ბ) 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე: თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით; შაქრიანი დიაბეტი ტიპი II-ით (ინსულინდამოუკიდებელი); ბრონქიალური ასთმით დაავადებულ პირებს, ფარისებრი ჯირკვლის დაავადების მქონე ადამიანებს, თვალის ქრონიკული დაავადების (გლაუკომა) სამედიცინო კოდი H40-დან H42-ის ჩათვლით; H42* .“.</p> <p>პროგრამა არ ითვალისწინებს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებას.</p> <p>მიზანი - დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობისათვის მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 13		41,0	131,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ხანძრებისა და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება - 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.</p> <p>მიზანი - მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 14		38,0	197,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დახმარება: 300 (სამასი) ლარი; 9 მასის ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მეორე</p>			

მსოფლიო ომის ვეტერანზე და 26 მაისს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ ვეტერან შშმ პირზე - 300 (სამასი) ლარი; ვეტერანის დღესთან დაკავშირებით 17 ოქტომბერი - 200 (ორასი) ლარი.
მიზანი - ვეტერანებისა და მათი ოჯახების თანადგომა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 15		14,0	44,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დამოუკიდებლად ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ფინანსური დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე - 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით. მიზანი - ბენეფიციართა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მარტოხელა შშმების დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 17		47,0	182,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებს გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა შშმები, რომელსაც ჰყავს (0-დან 18-წლამდე) შვილი ან შვილები და სოციალური მომსახურების სააგენტოდან აქვს მინიჭებული (0-დან - 70 000-ის ჩათვლით) სოციალური სარეიტინგო ქულა; ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებს გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა შშმები, რომელსაც ჰყავს (0-დან 18-წლამდე) შვილი ან შვილები და სოციალური მომსახურების სააგენტოდან აქვს მინიჭებული (70 000-დან - 100 000-ის ჩათვლით) სოციალური სარეიტინგო ქულა; ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებს გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა შშმები, რომელსაც ჰყავს (0-დან 18-წლამდე) შვილი ან შვილები და სოციალური მომსახურების სააგენტოდან აქვს მინიჭებული (100 000-დან - 150 000-ის ჩათვლით) სოციალური სარეიტინგო ქულა. მიზანი - მარტოხელა შშმების სოციალური პირობების გაუმჯობესება.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 18		119,0	419,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების და მიუსაფარ პირთა ქირით უზრუნველყოფა განხორციელდება წლის განმავლობაში ფულადი დახმარების გზით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ ფართში ყოველთვიურად, თვეში - 100 (ასი) ლარის ოდენობით. მიზანი - მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახების დახმარება.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 19		2,0	8,0

		თანადაფინანსების თანამონაწილეობის წილის დაფინანსება		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-დან 65 000-ის ჩათვლით) თანამონაწილეობის წილის დაფინანსებას, რომლებიც გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის მიღებისას გადახდისუუნაროები არიან, სრულად უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, სამუშაოების მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.</p> <p>მიზანი - სოციალურად დაუცველი ოჯახების საბინაო პირობების გაუმჯობესება.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 20		4,0	16,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით გაეწევა დახმარება - 300 (სამასი) ლარის ოდენობით.</p> <p>მიზანი - ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გორის მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების კაპიტალური ან/და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 21		100,0	400,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების და მიუსაფარ პირთათვის კაპიტალური ან/და დროებითი საცხოვრისის შეძენა და უსახლკაროებზე გადაცემა. საცხოვრებელი უზრუნველყოფა განხორციელდება ერთი წლის განმავლობაში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მიერ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.</p> <p>მიზანი - უსახლკარო ადამიანების საბინაო პირობების გაუმჯობესება.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	2021 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 05 22		5,0	20,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად სოციალურ დახმარებას - 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს პირადი დოკუმენტაციის მოწესრიგება, ქონების რეგისტრაცია, კომუნიკაციების შეყვანა და დარეგისტრირება პირად საკუთრებაში, პირად საკუთრებაში არსებული კომუნალური გადასახადების (დავალიანება) დაფარვა; დახმარებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 2021 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულები.</p> <p>მიზანი - სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი პატიმრების სოციალური პირობების გაუმჯობესება.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელმწიფო ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი მოქალაქეების დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 06		7,9	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად სოციალურ დახმარებას - 300 (სამასი) ლარის ოდენობით, რეგისტრაციისა და დავალიანებების დაფარვის მიზნით. (ქონების რეგისტრაცია, კომუნიკაციების შეყვანა და დარეგისტრირება; კომუნალური გადასახადების (დავალიანება) დაფარვა, შრომითი მოწყობისათვის საჭირო დოკუმენტაციის ღირებულების ანაზღაურება (მართვის მოწმობა და სხვა საჭიროება) ერთი წლის განმავლობაში მიიღებს გორის მუნიციპალიტეტში 2021 წლამდე რეგისტრირებული პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და 2021 წლის 1 იანვრიდან გავიდა სახელმწიფო ზრუნვიდან.</p> <p>ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსების დასაფინანსებლად 350 (სამასორმოცდაათი) ლარის ოდენობით წლის განმავლობაში ერთჯერადად მიიღებს 18 წლამდე ბავშვი, რომელიც რეგისტრირებულია 2021 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში</p> <p>მიზანი - მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დაცვა</p>			

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება და კადრების მომზადება-გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სტაჟირება. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებას.

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	01 04		861,0	6775,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო თარიღისა, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> - სოფლების ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის და ზემო ხვითის წყალსადენის რეაბილიტაციის - 298,5 ათ. ლარი; - ქალაქის სპორტული მიწის მოედნების რეაბილიტაცია - 126,0 ათ. ლარი; - 4 ცალი ნაგავმზიდი მანქანის და 200 ცალი ნარჩენების კონტეინერების შექმნა - 185,5 ათ. ლარი; - მუნიციპალური ავტოტრანსპორტის შექმნა - 191,0 ათ. ლარი; - სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა - 60,0 ათ. ლარი. <p>პროგრამის მიზანია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა და გორის მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად დადგენილ ვადებში დაფარვა.</p>			